ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5479086

ნომერი: AR1826078

თარიღი : 14.05.2021

გაცემის თარიღი : 30.06.2021

გაცნობის თარიღი : 30.06.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ევგენი მიქელაძის ქუჩა N9ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ხიზანიშვილი პ/ნ 01015007105
- თბილისი საადის ჩიხი N 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ევგენი მიქელაძის ქუჩა #9ბ-ში, სააქციო საზოგადოება მამულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის არაყრუ ღობისა და შლაგბაუმის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882021285421 13/04/2021წ. საკადასტრო კოდი N 01.13.03.023.045, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, მინდობილობა, თანხმობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი, ქალაქი თბილისი, სექტორი - დიდუბე, ევგენი მიქელაძის ქუჩა #9ბ-ში, სააქციო საზოგადოება მამულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის არაყრუ ღობისა და შლაგბაუმის მოწყობის შესაძლებლობას.

- საპროექტო ღობე უნდა განთავსდეს მიწის ნაკვეთის N 01.13.03.023.045 საკადასტრო საზღვრებში.
- დაცული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 14/06/2021წ. 16-0121165176 და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს 21/06/2021 წ. MIA 8 21 01590289 წერილების პირობები და რეკომენდაციები.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.